საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2216/01
09/03/2022

2216-01-2-202203091048

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკს“
ელ. ფოსტა: manganumlogi@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №2000 განცხადება, რომელიც ეხება ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებში არ არის მითითებული წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები, ჩაშვებული წყლის რაოდენობა. ასევე საჭიროა დაკონკრეტდეს, რა სტანდარტებს დააკმაყოფილებს ჩაშვებული წყალი, შესაბამისი რეგულაციის მითითებით. დოკუმენტში ასევე მოცემული არ არის გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობის (ჩაშვებულ წყალში დამაბინძურებელი ნივთიერებები და მათი კონცენტრაცია) შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს გამწმენდი დანადგარების მოდელი და საპასპორტო მონაცემები;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ინფორმაცია დაბინძურებული წყლის გამწმენდ ნაგებობამდე და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მიყვანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს გამწმენდი დანადგარის მოწყობისათვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება, ასევე, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოესი მოსახლის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადებაში შეფასებული არ არის დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ნიადგზე/გრუნტზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია გამწმენდი დანადგარის მშენებლობის ეტაპზე წამორმქნილი ნარჩენების სახეობის,

განთავსებისა და შემდგომი მართვის შეასხებ, ასევე გამწმენდი დანადგარიდან შლამის ამოღების პერიოდულობის შესახებ;

- დოკუმენტში აღწერილი და შეფასებული არ არის დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო სამუშაოების დროს გამოსაყენებელი ტექნიკისა და სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ცხრილ №1-ში ზემოქმედების მასშტაბების გრაფაში მოცემული შეფასებები გაკეთებულია შესაბამისი დასაბუთების გარეშე, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე